ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4452803

ნომერი: AR1668962

თარიღი : 26.03.2019

გაცემის თარიღი : 10.04.2019

გაცნობის თარიღი : 10.04.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, N 129; ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, N 127; ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, N 125; ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, N 131; ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, N 125ა;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სოფიკო აბესაძე პ/ნ 01024028503
- თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 6 ბ. 43

ორგანიზაცია:
- შპს ვაით სტუდიო კოდი: 404934372

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01. პირველ რიგში შეცვალეთ ნაკვეთების კონფიგურაცია და დაარეგისტრირეთ ისე, რომ მათ შორის დაურეგისტრირებელი ადგილი არ დარჩეს.

02. განმარტეთ რა ღონისძიებაა გათვალისწინებული არსებული შენობა-ნაგებობების მიმართ.

03....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :
მიუთითეთ კონკრეტული ფუნქციები.

N01; N02 და N03 პუნქტების შესრულება აუცილებელია პროექტის განხილვის გასაგრძელებლად. ასევე იხილეთ ხარვეზები:

04. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე (01.13.03.052.006; 01.13.03.052.012; 01.13.03.052.016 მიწის ნაკვეთებზე) გადის ხაზოვანი ნაგებობ(ებ)ი:

- საკ.კოდი: 01.00.329; ობიექტი: საკომუნიკაციო ნაგებობა, ჭებს შორის არსებული კანალიზაცია (არხი); მესაკუთრე: სს „სილქნეტი“
- საკ.კოდი: 01.00.287; ობიექტი: მიწისქვეშა კომუნიკაცია, წყალარინება; მესაკუთრე: სახელმწიფო.

საჭიროა, წარმოადგინოთ მათი მესაკუთრე(ებ)ის შესაბამისი თანხმობა ან/და პოზიცია პროექტირებით გათვალისწინებულ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშრებით (არსებობის შემთხვევაში დამოწმებული (ხელმოწრილი/ბეჭდიანი) გენგეგმით).

05....საინფორმაციო დაფა-ბანერი -> ....საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.:
წარმოსადგენია საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან.
საინფორმაციო დაფა უნდა დამაგრდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტი №57დადგენილების 40-ე მუხლის 1-ლი ქვეპუნქტის შესაბამისად აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- შენობა-ნაგებობის მისამართი;
- შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
- მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და განაცხადის განხილვის ვადები;
- შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობა ან/და გაბარიტები.

საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.
თქვენ მიერ წარმოდგენილი ბანერი არ შეიცავს კანონმდებლობით დადგენილ ყველა აუცილებელ ინფორმაციას.

06. ინფორმაცია დაგეგმილი გამწვანების შესახებ (გარდა II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა) -> განმარტებითი ბარათი:
მოკლედ აღწერეთ გათვალისწინებული დენდროლოგიური სამუშაოების შესახებ.

07. წარმოადგინეთ ტოპოგრაფიულ გეგმაზე დამუშავებული საპროექტო შენობის სავარაუდო განთავსების არეალი.
არსებობის შემთხვევაში მიუთითეთ ხე/ნარგავებამდე მანძილები.

08. გაცნობებთ, რომ დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის შემდეგ განცხადება გაიგზავნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში.

09. განცხადება გაგზავნილია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში. პასუხი გეცნობებათ დამატებით.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე განგიმარტავთ, რომ გარემოს საქალაქო სამსახურში გადასაგზავნი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.